



Kingdom of the Netherlands



ბილანსის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

ამონარიდები კვლევიდან

რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების ასახვა სასკოლო

სახელმძღვანელოებში

ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, სამოქალაქო განათლება

IX- XII კლასები

2016

კვლევა ჩატარდა ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ მხარდაჭერილი კოალიციური პროექტის, „ტოლერანტობის, რელიგიის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში.

კვლევის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI). ის შესაძლოა არ გამოხატავდეს ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს შეხედულებებს.

კვლევის ავტორები:

ბექა მინდიაშვილი

გიორგი გახელაძე

ირაკლი თაბორიძე

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

- ძალადობის აღწერა “ჩვენ-ისინი” მიმართების კონტექსტში /ძალადობის გამართლება
- არაკადემიური, არასამეცნიერო ენით თხრობა

ტოლერანტობის კრიტერიუმები

- განსხვავებული ჯგუფების ნეიტრალური, ობიექტური ასახვა
- განსხვავებული ჯგუფების/იდენტობის წარმოჩენა თანასწორუფლებიანობის კონტექსტში
- განსხვავებული ჯგუფებისადმი/იდენტობისადმი პატივისცემის გამოვლენა განსხვავებული ჯგუფების/იდენტობის ისტორიული, კულტურული და სოციალური როლის პოზიტიური წარმოჩენა
- განსხვავებული ჯგუფების/იდენტობის სრულფასოვანი აღიარება, ყოველგვარი განმასხვავებელი ნიშნის მიუხედავად - პლურალიზმის, როგორც უმნიშვნელოვანესი ფასეულობის წარმოჩენა.

ჩატარებულმა სამუშაომ, საბოლოო ჯამში, შესაძლებლობა მოგვცა, გაგვეანალიზებინა მრავალფეროვნების წარმოჩენის, ტოლერანტობისა და შეუწყნარებლობის ზოგადი მახასიათებლები სახელმძღვანელოების საერთო, დისკურსულ დონეზე; შეგვეთავაზებინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის, გამოცემლობებისთვის/ მოცემული ანდა მომავალი, ახალი სახელმძღვანელოების ავტორებისათვის გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად კონკრეტული და ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები.

1. მიკერძობული, არანეიტრალური აღწერის ნიმუშები

ისტორიის სახელმძღვანელოების ყდები
(საქართველოს ისტორია, მე-9 კლასი, ისტორია, მე-11 კლასი, “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა”)



ნეიტრალური კომპოზიცია

(საქართველოს ისტორია, მე-9 კლასი, გამომცემლობა “კლიო”; ისტორია, მე-11 კლასი, “დიოგენე”)



“ნიკეის საეკლესიო კრებამ, პირველ რიგში, ქრისტიანული რწმენის სიმბოლო განსაზღვრა, რომელიც დღემდე უცვლელია მართლმადიდებლურ ეკლესიაში. [...] მე ღმერთი და სულიწმინდა დამოუკიდებელი და თანაბარი საწყისებია და არსებობენ ერთობაში. ამიტომ ვუწოდებთ ჩვენ ღმერთს სამება ერთარსებას. მამაღმერთი არის საწყისი მისგან იშვა მე და სულიწმინდა”.

მსოფლიო საეკლესიო კრებები. გვ. 154 ისტორია, 11 კლასი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

“კაპადოკიიდან იყო წმინდა გიორგიც - ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდი საპატივცემულო წმინდანი...”

13 ქვეთავი, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. გვ. 61. საქართველოს ისტორია, 9 კლასი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

"... ქრისტიანობის სახელმწიფო კულტად გამოცხადებით, მეფე, და მისი სახით, სახელმწიფო ხელისუფლება მიზნად ქვეყნის კონსოლიდაციას ისახავდა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქრისტიანობის და საკუთრივ, ქართული ეკლესიის როლი ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების, ქართველთა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების, ეროვნული კონსოლიდაციის, ქართული ერთიანი შუასაუკუნოვანი სახელმწიფოს, ქართველი ერის ჩამოყალიბებაში [...] როგორც წესი, საქართველოს ხელისუფალნი ორიენტაციას ბიზანტიაზე იღებდნენ, რადგან ბიზანტია მართლმადიდებლური, ქრისტიანული ქვეყანა იყო... ბიზანტიის ადგილი რუსეთმა დაიკავა, რისი მთავარი იდეაც, მაჰმადიანური გარემცვისგან თავდაცვა, ქრისტიანობის შენარჩუნებით ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა იყო“

13 ქვეთავი, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. გვ. 62 საქართველოს ისტორია, 9 კლასი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

შენიშვნები:

- 1) მეფე მირიანი, ქრისტიანობის აღიარებით, რომზე იღებდა ორიენტაციას, მაგრამ არსად, არც ერთ ისტორიულ წყაროში არაა ნათქვამი, რომ მის მიერ ქრისტიანობის მიღების მოტივი და მიზანი, ქვეყნის კონსოლიდაცია იყო.
- 2) „ქართული ეკლესია“ მცდარი ტერმინია, რამდენადაც ეთნიკური ნიშნით საეკლესიო მოწყობას მართლმადიდებელი ეკლესია არ იცნობს, არსებობს საქართველოს ეკლესია, უკეთ, ერთი კათოლიკე წმიდა სამოციქულო ეკლესია საქართველოში, ტერიტორიული ნიშნით შემოფარგლული სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ქრისტიანი, მართლმადიდებელი ადამიანების ერთობა, მაგრამ არა „ქართული ეკლესია“.

- 3) არაზუსტია აზრი, რომ ქართულმა ეკლესიამ შეუწყო ხელი კონსოლიდაციას და გაერთიანებას - რამდენადაც ერთიანი დამოუკიდებელი, სრულიად საქართველოს მომცველი სამოციქულო ეკლესია (რაც პერიოდში სამიც) მაქსიმუმ, ორი საუკუნე არსებობდა შუა საუკუნეებში. უფრო მიახლოებული რეალობასთან შეიძლება იყოს ის აზრი, რომ ქრისტიანობამ და არა ეკლესიამ, შეასრულა, გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე, მაკონსოლიდირებელი ფუნქცია, მაგრამ აქაც სხვა აღმსარებლობები არ უნდა დაგვავიწყდეს.
- 4) ქართველ ერში არ უნდა იგულისხმებოდეს მხოლოდ ეთნიკური ქართველები, თუმცა არანაირი განმარტება იმისა, ვინ არის ქართველი ერი, სახელმძღვანელოებში არ გვხვდება. მით უფრო, რომ შუა საუკუნეების იდენტობის მარკერი იყო არა ეთნიკური ან ტომობრივი კუთვნილება, არამედ, რელიგიური და საერო იერარქიული, - შესაბამისად, „ეროვნული კონსოლიდაციის“, „ერის ჩამოყალიბების“ კონცეფციებით შუა საუკუნეების რეალობა არ აღიწერება, „ნაციონალიზმის“ ცნებათა პროეცირება ამ რეალობაზე ხელოვნურ ხასიათს ატარებს.
- 5) ასევე ეთნიკური ქართველები მხოლოდ ქრისტიანები და მით უფრო, მხოლოდ „ქართული ეკლესიის“ ანუ მართლმადიდებელი ეკლესიის წევრები არასოდეს ყოფილან, - მაზდეანი, მუსლიმი, პოლითეისტი, კათოლიკე, არაქალკედონური მრწამსის მქონე, მოგვიანებით, პროტესტანტი და ათეისტი ქართველებიც, ცხადია, „ქართველი ერის ჩამოყალიბებაში“, ასევე იღებდნენ მონაწილეობას ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე.
- 6) „ქართული ერთიანი შუასაუკუნოვანი სახელმწიფო“ უშინაარსო წინადადებაა, რამდენადაც არსებობს „შუასაუკუნეების სახელმწიფო“ ან სახელმწიფო შუასაუკუნეებში“ და არა „შუასაუკუნოვანი“ - შუა საუკუნეები ამ შემთხვევაში არ შეიძლება გამოყენებული იყოს მსაზღვრელად, მახასიათებლად.
- 7) ქრისტიანობა, ეკლესია წარმოჩენილია, როგორც იდოლოგია, კლასობრივი ფენომენი, პოლიტიკისა და საგარეო ურთიერთობების ინსტრუმენტი და არა, საკუთრივ, რელიგია.
- 8) ზოგადად, მნიშვნელოვანია, სახელმძღვანელოს ტექსტი ფრთხილად მოვიდოს ნებისმიერი რელიგიის, კონკრეტულად, ქრისტიანული ეკლესიის წარმოჩენას საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის ინსტრუმენტად, ნაციონალიზმის იდეოლოგიურ ფუნქციად შეფასებას.
- 9) ორიენტაციის არჩევის, იმპერიისადმი დაქვემდებარების, კოლონიალობის ერთმორწმუნეობის დისკურსში მოთავსება, მინიმუმ, საკამათოა და სხვადასხვა პოზიციიდან შეფასებას საჭიროებს. არ არის წარმოდგენილი წყაროები, რომლებიც ამ ტიპის არჩევანს კრიტიკულად აფასებს, ამავდროულად, სახელმძღვანელოს ამგვარი ნარაცია მძიმე პარალელებს ავლებს თანამედროვე რეალობასთან - რუსეთთან ურთიერთობის საკითხში. მით უფრო, რომ იქვე არ არის შეფასებული, რამდენად მძიმე და ტრაგიკული აღმოჩნდა რუსული „ერთმორწმუნეობის“ უღელი საქართველოსთვის.

სხვა ენა, ცნებები, კატეგორიები უნდა იყოს გამოყენებული ნებისმიერ იმპერიასთან ურთიერთობის აღსაწერად და არა „ერთმორწმუნეობის“ ლოგიკა.

10) დიქტომია „ერთმორწმუნე მართლმადიდებელი“ versus „მაჰმადიანური სამყარო“, ხელს უწყობს ისლამის, როგორც მტრული რელიგიისა და მტრის ხატის კონსტრუირებას, მაშინ, როდესაც რუსეთი, როგორც მართლმადიდებლური იმპერია, რომელიც სწორედ მართლმადიდებლობას იყენებს „მესამე რომის“ იმპერიული კონცეფციის შესამუშავებლად სახელმძღვანელოს ამ კონკრეტული ტექსტის მიხედვით, მხსნელად გვევლინება.

“...ამ ვითარების შდეგად წარმოიშვა აღმოსავლურ-კათოლიკური ანუ მართლმადიდებლური და დასავლურ რომაულ-კათოლიკური ეკლესიები. ქრისტიანულ ეკლესიას კათოლიკური ეწოდა მეორე საუკუნეში, რაც რომის ეკლესიამ მიითვისა, რითაც შეიქმნა საფუძველი თითქოს ამ აქტის მერე იგი ჭეშმარიტ ქრისტიანთ საყოველთაო ცენტრად დარჩა... [...] "ბერძნულმა ეკლესიამაც შეინარჩუნა ეს სახელწოდება (კათოლიკე-საყოველთაო) და ამავე დროს, აღმოსავლური ეკლესიის უპირატესობის აღსანიშნავად თავს მართლმადიდებლური უწოდა. [...]"

გვ. 155. საქართველოს ისტორია, 9 კლასი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

საავტორო კომენტარი: “მაცხოვარი გვასწავლის, რომ გული და გონება სუფთა, წმინდა იყოს, რომ იქ სიყვარული და კეთილი აზრი წარმოიშვას”.

ქართული ენა და ლიტერატურა, მე-10 კლასი, მერიდიანი; გვ. 161

“უფალი გვასწავლის, რომ ერთდროულად ღვთის სამსახური და წარმავალი სიმდიდრის მოპოვებაზე ზრუნვა შეუძლებელია [...] საბასაც ამ აზრის არგუმენტად მოჰყავს ციტატა ქრისტიანული მოძღვრებიდან “

ქართული ენა და ლიტერატურა, მე-10 კლასი, გვ. 156

კითხვა: “როგორ უპირისპირდება მისი, (“ჯაყოს”) მხატვრული სახე უფლის მიერ შექმნილი ადამიანის ხატს “

ქართული ენა და ლიტერატურა, მე-12 კლასი, მერიდიანი, გვ. 88

2. ეთნოცენტრიზმი

"ამ წიგნში დასაბამიდან დღემდე შენი სამშობლოს - საქართველოს ისტორიას შეისწავლი. [...] ქართველი ხალხი მშვიდობიანად თანაცხოვრობდა სხვა ეთნოსების წარმომადგენლებთან - ებრაელებთან, სომხებთან, ბერძნებთან და სხვ. რომლებიც ისტორიული ქარტეხილების დროს საქართველოს შემოეკედლნენ და მისი ჭირისა თუ ღვინის თანაზიარნი გახდნენ. ეს რეალობა ტოლერანტობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს."

შესავალი. რატომ ვსწავლობთ საქართველოს ისტორიას? გვ. 8. საქართველოს ისტორია, მე-9 კლასი, გამომცემლობა „კლიო“

3. ქსენოფობია

"თანდათანობით ივრისა და ალაზნის ნაყოფიერი ველები გადამთიელებმა დაიკავეს. ეს დიდი უბედურება იყო ქვეყნისთვის."

ბახტრიონის გმირული ეპოპეა .გვ. 245 საქართველოს ისტორია, მე-9 კლასი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

"...თურქმანები კახეთიდან გადაიხვეწნენ. ქვეყანა ერთიანად გაიწმინდა შემოსახლებული მომთაბარეებისაგან."

იქვე. გვ. 246

"...მოკლედ გადმოეცით თქვენი აზრი იმის შესახებ, თუ რომელი რელიგია აღმოჩნდა არაბობის მიმართ უფრო მდგრადი და რატომ"

20 .ქვეთავი. არაბების პირველი გამოჩენა ქართლში "დაცვის სიგელი". არაბები დასავლეთ საქართველოში. გვ. 93 საშინაო დავალება. გვ. 96 ისტორია. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

შენიშვნა: დავალება მოსწავლეს უქმნის მოტივაციას, რომ „არაბების“ რაც ამ შემთხვევაში მუსლიმებსაც გულისხმობს, წინააღმდეგ იმთავითვე ქსენოფობიური განწყობით შეუდგეს მუშაობას

სახელმძღვანელოს საავტორო შეკითხვები:

- „ჯაყო საუბრისას ამახინჯებს ქართულ ენას, თქვენი აზრით, რაზე მიგვანიშნებს ამით ავტორი? საერთოდ, რამდენად შეიძლება ამ ფაქტის განზოგადება?

- სად არის ჯაყოს სამშობლო?
- ვინ არიან მისი ნათესავები?
- რომელ ისტორიულ მოვლენას აღწერს მწერალი მეტაფორულ-ალეგორიული ფრაზით , “ვარდისფერი საქართველო გამუქდა, და გაწითლდა” ?
- რატომ მოსდევს ამ ციტატას ფრაზა როკის მთებიდან კიდევ ერთხელ ჩამოგორდნენ ჯაყოს ძმები და ბიძები... “ რა იგულისხმება სიტყვებში “კიდევ ერთხელ” .

ქართული ენა და ლიტერატურა, მე-12 კლასი, „მერიდიანი“

ლექსი “ყივჩალის ჰაემანი” გააზრებული, როგორც ბრძოლა უცხოტომელთან.

სახელმძღვანელოში___მოტანილი კომენტარი: “ბოლო სტრიქონში პირველი თემა გაძლიერებულია ახალი მოტივით, რომელიც უცხო და უხეში ძალის მიერ წმიდათა წმინდის ხელყოფაზე მიგვანიშნებს, საერთოდ - აძლიერებს ეროვნული ტრაგედიის განცდას (სარგის ცაიშვილი)

რასაც მოსდევს გოდერძი ჩოხელის ლექსი “მე და ყივჩალი”

“...ცხენი კი აღარა მთხოვა, ცხენი ისედაც მისია,
 ცოლი კი აღარა მთხოვა, ღმერთმა გაიგოს ვისია,
 მამული მთხოვა, ვერ მივე, ის ჩემი წინაპრისია,
 შემომიტია ყივჩალმა, ჯიქურ და ჯიქურ მიტია,
 ვახ, თუ მამული მას დარჩეს, მე გავხდე საძრახისია “

ქართული ენა და ლიტერატურა, მე-12 კლასი, მერიდიანი, გვ.315

4. ეთნიკური ჯგუფების შარჟი. სტერეოტიპიზაცია

ამონარიდები გრიგოლ რობაქიძის “გველის პერანგიდან”

- სპარსელი მექისე. „თავი: საორშიმე კვახი თუ ქვასანაყი. ... პათოსი - გუდაფშუტის. სახელი: ფიჩხული“.
- “ქურთები. ოფლის სუნი ისეთი: თითქოს ჰებრაელთა „მიკვას“ გვერდით მიდიოდე. ნუ თუ ყველაფერს ჯიში ეკარგება ტფილისში?!”
- „აისორი მეეზოვე“ .ქალები ტანსაცმელში ჩაგოდრილან: თითქოს ერთბაშად ჩაუცვამთ ყველა საცმელი - შეგეფეთებიან - ოფლის ცხარე სუნი გეცემათ პირველად. ...ასურეთი ახრჩობს ირანის ლომს. მისი ნაშიერი მეეზოვეა ტფილისში. მისი მოდგმა ფეხსაცმლის მწმენდელია.“

დავალეზა: გაანალიზე მოცემული ნაწყვეტი და შექმენი ამ მონაკვეთში აღწერილი ადამიანების „პორტრეტი“. აღწერე მათი გარეგნობა, ჩაცმულობა, საქმიანობა, ხასიათი, ეროვნება, პროფესია და ა. შ.“

თემა 4. ძველი და ახალი. სამოქალაქო განათლება, მე-10 კლასი

5. განზოგადება. რელიგიის და ეთნოსის გაიგივება. კონკრეტული ჯგუფისთვის ეთნიკურ ან რელიგიურ საფუძველზე ნაკლოვანების მიწერა

“ირანელები ქართლში შეიჭრნენ”

14 ქვეთავი, ქართველი ხალხის ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ 4ს. ბოლოს და 5 ს. პირველ ნახევარში. გვ. 65

“

“თურქები მთელ საქართველოს მოედნენ “

გვ.103. საქართველოს ისტორია, მე-9 კლასი, გამომცემლობა „კლიო“

"...არაბებმა ამ ეტაპზე არ გააუქმეს ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება [...] [...] ...არაბებმა ქართლში ფეხი მტკიცედ მოიკიდეს [...] არაბთა უღელი საგრზნობლად დამძიმდა [...] საქართველო უშულოდ არაბთა იმპერიის, სახალიფოს ნაწილს წარმოადგენდა [...] ხაკანი დახმარებას აღოუჩენდა საერთო მტრის, არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში [...] ქართველი ხალხის ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ [...] ...არაბებს მძიმე მდგომარეობას უქმნიდნენ ხაზარებიც, რომელთა წინააღმდეგ მუსლიმებმა ვერაფერი გაახერხეს.

*არაბთ ბატონობის დამძიმება, ბრძოლა მათ წინააღმდეგ. გვ. 98 -99
საქართველოს ისტორია. მე-9 კლასი. გვ.98-99. ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა*

„ [...] აბო წარმოშობით არაბი იყო, სჯულით მაჰმადიანი, რომელიც არაბთა ტყვეობაში მყოფ ნერსეს დაუახლოვდა. [...] ქართველი პატრიოტი მოღვაწეები ხალხს არაბთა წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდნენ [...] (აბო) გაეცნო და იწამა ქრისტიანობა, ამის გამო არაბებმა ის სასტიკად აწამეს და სიკვდილით დასაჯეს. [...] არაბებმა გააუქმეს ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება, რომლის უკანასკნელი წარმომადგენელი - აშოტ ბაგრატიონი, არაბებთან კონფლიქტის გამო ქართლიდან გაიხიზნა [...] არისტოკრატის მნიშვნელოვანი ნაწილი არაბებმა გაჟლიტეს. [...] არაბთა პარალელურად ქართლს ხაზარებიც არბევდნენ, როგორც არაბთ ფორპოსტს სამხრეთ კავკასიაში, რადგან არაბები ქართლიდან ახორციელებდნენ თვის ექსპედიციებს ხაზარეთში. [...] და ა.შ.

*იდეოლოგიური ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ. გვ. 99
საქართველოს ისტორია. მე-9 კლასი. ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა*

საშინაო დავალება გვ. 101

"წერილობით ჩამოაყალიბეთ, რა ადგილი ეკავა და რა მნიშვნელობა ჰქონდა იდეოლოგიურ ბრძოლას არაბთა ბატონობის საწინააღმდეგო მოძრაობაში..

საქართველოს ისტორია. მე-9 კლასი. გვ.98-99. ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა

შენიშვნები:

ა) ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, გამოყენებული იყოს სახელმწიფოს ზუსტი დასახელება ან პოლიტიკური ძალის (ჯგუფის, პარტიის) ან უშუალოდ ხელისუფლის სახელი, ნაცვლად ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის სახელმწოდებისა, რამდენადაც, ცხადია, რომ, ვთქვათ, ყველა „ირანელი“ „არაბი“ „თურქი“ „მონღოლი“, „სპარსი“ „რუსი“ „მაჰმადიანი“ საქართველოში არ შეჭრილა.

ბ) პრობლემას აქვს ასევე კონკრეტული ხასიათიც, სახელმძღვანელოები, მაგალითად, სავსებით სწორად, არსად ამბობენ რუსეთის ოკუპაციაზე, რომ დაგვიპყრო „მართლმადიდებლურმა ჯარმა“, „მართლმადიდებლურმა იმპერიამ“, მიუხედავად იმისა, რომ ოკუპაციის ერთ-ერთი მოტივი, სწორედ რელიგია იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, ხშირად ვხვდებით „მაჰმადიანთა ლაშქარს“ „მუსლიმთა შემოსევებს“ და ა.შ.

გ) მოვლენების ასეთი ენით აღწერა, ამგვარი მოხსენიება, ამ თუ იმ ქმედებაზე მთელი ჯგუფისთვის, ერისთვის, რელიგიისთვის პასუხისმგებლობის მიწერა ყველაზე მეტად უწყობს ხელს ნეგატიურ სტერეოტიპზაციას, დამკვიდრებული ისტორიული კლიშეების გაცოცხლებას, ენიმიზაციას - მტრის ხატის შექმნას.

დ) ასევე სახელმძღვანელოებში მოტანილ წყაროებს, იქ, სადაც ამგვარი ტერმინებია გამოყენებული, უნდა ახლდეს კომენტარი.

ე) ამ ტიპის ნარაცია არის სახელმძღვანელოების ყველაზე მეტად გავრცელებული ხარვეზი

ვ) სახელმძღვანელოს 98-99 გვერდებზე არაბები, მტრული ძალის კონტექსტში 18 ჯერ არიან ნახსენები, ხოლო ერთხელ არაბებთან გაიგივებულია მუსლიმებიც. ესაა ერთი მაგალითი, სახელმძღვანელოს ტექსტებისთვის დამახასიათებელი ტენდენციისა, როცა კონკრეტული სახელმწიფოს ან მთავრის ნაცვლად მტრულ კონტექსტში რელიგია ან ეთნიკურობაა მოწოდებული, შესაბამისი დავალებებით.

ჰაზო ანუ ფერფლის ლეგენდა.

1.

უკან დარჩა უდაბნო..

და ბაღები ფშატის,

ლომთა კმინვა...თუთიყუშთა კვიწინი...

ბრუნდებოდა ნერსე ნაჩუქარი ფაშატით,

უკან ბიჭი მოსდევდა არაბული კვიცივით.

—რატომ მოსდევ, ბიჭო, მაგ ურჯულო გიაურს,

განებე თავი, ჯანდაბის გზით იაროს!

საით მისდევ, უგუნურო, სად სიკვდილში მისდევ,

რად არჩიე მაჰმადს წამებული ქრისტე.

რად არჩიე უზარმაზარ გამარჯვებულ ხალიფატს

ერთი მუჭა მიწა დამარცხებულ ხალიბთა.

საით, ცოდვის შვილო, შეჩერდი!...შეჩერდი!...

მაჰმადის მახვილივით ლაპლაპებდა მეჩეთი...

2.

ფერფლი ესხა,

ჭვარტლი ესხა გადათქერილ ხარდანს

და მზეს ჰგავდა ცხენის ფლოქვით ახრჩოლებულ დადარს.

არსად ჩიტი...არც პეპელა...

მხოლოდ კანტიკუნტად

ყვაგი გადიყრანტალებდა, როგორც ჭვარტლის გუნდა.

ცხენის ფლოქვით დადაღული მტევანი თუ ფერფლი

კბილებს კრეჭდა, ქირქილებდა, ვით სიკვდილის ღერბი.

ეს ღერბები მწუხარების არაბესკად ესხა

ქართულ ციხე-ეკლესიას, სიმღერას თუ ფრესკას.

3.

რაც არუნდა დიდი იყოს საქართველოს მსხვერპლი,

სიყრუე და გულქვაობა გადამთიელ ხეპრის,—

იმ ფერფლს,

შავ ფერფლს,

სიძულვილის აუწონელ ზღვა ფერფლს

აბოს ფერფლი გადასწონის, ერთი მუჭა ფერფლი...

დასმულია კითხვა:

- ეს ლექსი აბოს წამებიდან 12 საუკუნის შემდეგ დაიწერა. რაზე მეტყველებს ეს ფაქტი?

„მიმდინარეობდა ბრძოლა ორ ქრისტიანულ აღმსარებლობას, ორ მიმართულებას - მონოფიზიტობასა და დიოფიზიტობას შორის, რაც ფაქტობრივად ქართულ და სომხურ ორიენტაციებს შორის ბრძოლას წარმოადგენდა.“

23 ქვეთავი, ახალი ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში ჰერეთის სამეფო 9-10 სს. გვ. 106. საქართველოს ისტორია, მე-9 კლასი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

"მურვანი...მოიხიბლა მათი გარეგნობითა და ვაჟკაცობით, დატყვევებულ მთავრებს ისლამის მიღება და სამაგიერო დიდება შესთავაზა, მაგრამ მათ (დავითმა და კონსტანტინემ) სჯულის ღალატს, რაც სამშობლოს ღალატის ტოლფასი იყო, სიკვდილი არჩიეს..

იქვე. 21 ქვეთავი, საქართველო არაბთა ბატონობის ხანაში. გვ. 98

შენიშვნა: სჯულის ღალატი სამშობლოს ღალატის ტოლფასი ვერ იქნებოდა არაბთა ბატონობის ხანაშიც, რამდენადაც, მაშინაც არსებობდნენ არაქრისტიანი ეთნიკური ქართველები, რომლებიც არ შეიძლება ჩაითვალოს მოღალატეებად. ამავდროულად, გვაქვს ამ პერიოდის საპირისპირო მაგალითიც - აბო თბილელის ცხოვრება, რომელშიც სჯულის, ანუ რელიგიის შეცვლა სამშობლოს ღალატად არ მიიჩნევა. ასეთი მიდგომა, რომელიც აიგივებს სამშობლოს, ეთნიკურობასა და რელიგიას ექსკლუზივისტური პოზიციის გამოვლინებაცაა, რადენადაც ამ მიდგომით როცა „ჩვენ“ - ჯგუფი - ეთნიკური ქართველები და ქრისტიანები მოქმედებენ, - მოვლენა პოზიტიურად ფასდება, ხოლო როცა „ისინი“ - მაშინ ნეგატიურად, რაც ისტორიული ხდომილების ობიექტურად აღქმას შეუძლებელს ხდის. კონკრეტული მოვლენა, სავსებით საკმარისია აღიწეროს რელიგიურ კონტექსტში, დამატებითი მნიშვნელობების მიწერის გარეშე.

6. ძალადობის აღწერა კრიტიკული კომენტარის გარეშე

"მაშინ ერისთავმა მეფისგან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი"...

3 თავი, საქართველო 4-9 სს. 13 ქვეთავი, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. გვ.62. საქართველოს ისტორია, მე-9 კლასი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

შენიშვნა : ტექსტში არ არის ნახსენები რომ წმინდა ნინო წინააღმდეგი იყო ძალისმიერი გზით ქრისტიანობის გავრცელებისა და არც თავისთავად მოვლენა - ძალადობრივი გზით ქრისტიანობაზე მოქცევის პრობლემაა შეფასებული, როგორც თანამედროვე ჰუმანისტური, უფლებრივი, ასევე უშუალოდ ქრისტიანული პოზიციიდან. არ არის მოწოდებული რაიმე დავალება ამ საკითხზე მსჯელობისა და დისკუსიის გასაშლელად.

“...ჰერაკლემ განსაკუთრებული სიმკაცრე გამოიჩინა სხვა სარწმუნოების აღმსარებლებისა და არამართლმადიდებელი ქრისტიანების მიმართ. ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, მან "განწმინდა რჯული ქრისტესი". ამ დროიდან მართლმადიდებლური ქრისტიანობა განსაკუთრებით განმტკიცდა ქართლში და საბოლოოდ მოიპოვა გაბატონებული მრწამსის სტატუსი. [...] მართალია, ეს ორი ქართული სახელმწიფო უცხო ძალის ხელში იყო გაერთიანებული, მაგრამ ერთმორწმუნე ბიზანტიის გავლენის ქვეშ ყოფნა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ამ ორი ქართული მხარის შემდგომი დაახლოება-შერწყმისათვის.”

19 ქვეთავი. საქართველო 7 ს-ის პირველ ნახევარში ჰერაკლე კეისრისა და ხაზართა ლაშქრობანი საქართველოში. გვ. 91 საქართველოს ისტორია, მე-9 კლასი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

შენიშვნა: ტექსტში გამართლებულია ჰერაკლე კეისრის ძალადობრივი პოლიტიკა, განსხვავებული მრწამსის მქონე ადამიანების დევნა და ისევ აქცენტირებულია ერთმორწმუნისადმი დაქვემდებარების პოზიტიური მნიშვნელობა.

„რადგან მეფე ვახტანგი ემზადებოდა, ირანელთგან საბოლოოდ გაეთავისუფლებინა ქვეყანა, მან პირველ რიგში შეუტია სასანიანთ იდეოლოგიურ საყრდენს - ქართლში არსებულ მაზდეანობას [...] მეფემ "შეაგდო საპყრობილესა ბინქარან მაცდური ეპისკოპოსი ცეცხლის მსახურთა და მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლის მსახურნი საზღვართაგან ქართლისა".

16 ქვეთავი, ქართლის ბრძოლა ირანის ბატონობის წინააღმდეგ, ვახტანგ გორგასლის მეთაურობით. გვ. 74 საქართველოს ისტორია, მე-9 კლასი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

შენიშვნა: ციტატა ნეგატიური მაგალითია ვახტანგ გორგასლის მიერ წამოწყებული რელიგიური დევნისა, რაც არ არის შეფასებული კრიტიკული პოზიციიდან.

7. განსხვავებული იდენტობის დაფარვა/გამოტოვებული პერსონაჟები

სამოქალაქო განათლება, მე-9 -10 კლასი

- სახელმძღვანელოების მრავალპროფილიანი შინაარსი, თითქმის მოკლებულია ისეთი თემების აქტიურ გაშუქებას, როგორცაა რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება, რელიგიის თავისუფლება
- ზოგადად, ბევრი განსხვავებული რელიგიური და ეთნიკური იდენტობის მქონე პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე არ არის ნახსენები სახელმძღვანელოებში (მაგ. საიათნოვა, ფარაჯანოვი, დაფარულია ძმები მხარგრძელების წარმომავლობა, არ არის საუბარი აღმოსავლურ სომხურ, ებრაულ არქიტექტურაზე საქართველოში და სხვ.)

8. არააკადემიური, არამეცნიერული აღწერა

"[...] ქართული დამწერლობა სულ უფრო და უფრო სრულყოფილ სახეს იღებდა და საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ".

11 ქვეთავი, ანტიკური საქართველოს რელიგია და კულტურა. სახვითი ხელოვნება. დამწერლობის საკითხი. გვ. 55

"...ქრისტიანები, იუდეველების მსგავსად, ერთ ღმერთს აღიარებდნენ, ხოლო მაცხოვრად იესო ქრისტე წარმოედგინათ. [...] ქრისტეს თორმეტი მოციქულიდან სამმა საქართველოს ტერიტორიაზე იქადაგა. მათ შორის პირველი იყო ანდრია პირველწოდებული, რომელიც სამჯერ შემოვიდა საქართველოს ფარგლებში, ამათგან ერთხელ ქრისტეს კიდევ ერთ მოწაფესთან, სვიმონ კანანელთან ერთად. გადმოცემის თანახმად, სვიმონ კანანელი აფხაზეთში გარდაიცვალა და ქალაქ ანაკოფიაში (ახლანდელ ათონთან) დაკრძალეს. ქრისტეს კიდევ ერთი მოციქული მატათა კი მიწას გონიოში (აჭარა) მიაბარეს."...

4 თავი. საქართველო 4-10 საუკუნეებში. 4.1. ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში. გვ. 58 საქართველოს ისტორია, მე-9 კლასი. ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა

“ ნინო აღსაზრდელად მიაბარეს სარა ნიაფორს, რომელიც მას ქრისტეს სჯულს ასწავლიდა. ნინომ მისგან შეიტყო რომ ჯვარცმის შემდეგ მისი სამოსელი (კვართი) წილად ხვდა მცხეთელ მოქალაქეებს, რომლებმაც იგი საქართველოში წაიღეს და მცხეთაშია დაფლული. [...] ლოცვა ვედრების შედეგად სეტყვა და მეხი დაატყდა ამ კერპებს და დაამსხვრია ისინი. ნინო ცდილობს

ააცდინოს ხალხი კერპებისადმი ცრუმორწმუნეობას და დააყენოს ჭეშმარიტ გზაზე. [...] მეფე მირიანი ეჭვით უყურებდა ახალ რელიგიას, სანამ სასწაულის მოწმე არ გახდა. “

წმ. ნინოს საგანმანათლებლო მოღვაწეობა. გვ. 153 საქართველოს ისტორია, მე-11 კლასი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

9. მცდარი ტერმინოლოგია

გამოიყენება ტერმინები, რომლებითაც რელიგიები არ აღწერენ საკუთარ თავს

მაგ. “სექტა”, “სახელმწიფო კულტი”, “მაჰმადიანი”, “ქართული ეკლესია”, “მონოფიზიტიზმი”, “გრიგორიანელობა”, “მწვალებლობა”, “ერესი”, “აფხაზთა” სამეფო

"ქრისტიანობა ჩვენში შემოდიოდა როგორც ახალი სოციალური ფენის, ფეოდალთა იდეოლოგია. ის საზოგადოების ფეოდალური განვითარების შედეგი, მიწაზე კერძო საკუთრების განმტკიცების მნიშვნელოვანი საყრდენი იყო, ხოლო საქართველოს მთიანეთი ჯერ კიდევ თემურ-გვაროვნული წყობილების რღვევის საფეხურზე იმყოფებოდა..."

შენიშვნა: ქრისტიანობის დამკვიდრება გააზრებულია საბჭოურ-მარქსისტული ისტორიოგრაფიის ტრადიციის კონტექსტში, როგორც კლასობრივი იდეოლოგია, რაც ამახინჯებს როგორც ისტორიულ მხარეს ქრისტიანიზაციისა, ასევე, ამ მოვლენის უშუალოდ რელიგიურ შინაარსსაც.

3 თავი, საქართველო 4-9 სს.13 ქვეთავი, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. გვ. 62 ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

10. პოზიტიური ასახვა

§ 8.9. „ქართული კულტურა და პოლიტიკური აზრის განვითარება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში“, დავალება 2, ბ: „იმსჯელე, რაზე მეტყველებს სამეწიფო აშუღის არსებობა. წარმოიდგინე იმდროინდელი თბილისის სურათი. შენი აზრით, როგორი იყო ქალაქის მოსახლეობის ურთიერთდამოკიდებულება, ყოველდღიური ცხოვრება? მოიძიე საიათნოვას ლექსები და მათი დახმარებით დაწერე ერთგვერდიანი ესე: თბილისში ცხოვრების ერთი დღე XVIII საუკუნის ბოლოს. გააცანი ის კლასს.“

11. ლავსუსები

„თანასწორობა არის მდგომარეობა ადამიანისა, რომელიც გრძნობს, რომ სხვაზე უარესი არ არის, რომელიც არ თვლის, რომ ის აღემატება სხვა ადამიანებს და არ აქვს ამის სურვილი. თანასწორობა მოთხოვნილებაა და არა რეალობა“ (სამოქალაქო განათლება).

შენიშვნა: ასეთ თავისუფალ განმარტებას ჯობია, რომ თანასწორობის განმარტება საერთოდ არ იყოს მოცემული სახელმძღვანელოში.

„ის (ლუარსაბი) ბიოლოგიური არსებაა, მისნაირი ადამიანები ირგვლივ ბევრია. ამ ბევრისაგან რომ გამოირჩია, კაცი რომ გერქვას, განსაკუთრებული ინტერესები, უნარები, მოთხოვნილებები და მიდრეკილებები უნდა გქონდეს.“ (სამოქალაქო განათლება)

შენიშვნა: 14-15 წლის მოზარდში ადამიანისადმი მსგავსი დამოკიდებულების კულტივირება, რომ ის უბრალოდ ბიოლოგიური არსებაა, რომლის მსგავსი ირგვლივ ბევრია, ადამიანთა სორტირების დაშვებას ნიშნავს.

თემა 31 მშვიდობიანი თანაარსებობის წესი „კვირა დღეს რუსი მეზობელი - ავტობუსის მძღოლი, თავისი მანქანით ჩამოარიგებდა მეზობლებს თავთავიანთ სალოცავებში - სინაგოგაში, მეჩეთში, მართლმადიდებლურ ეკლესიაში - რომლებიც ძველ თბილისში ერთმანეთის მახლობლად აღმართულიყო. მოგვიანებით ისევ ჩამოუვლიდა, შეაგროვებდა ყველას და ისევ ეზოში ამოიყვანდა...“ (სამოქალაქო განათლება)

„სამოქალაქო განათლება“ მე9 - მე-10 კლასები. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

შენიშვნა: როგორც ცნობილია, კვირა დღე არ გახლავთ სინაგოგასა და მეჩეთში ძირითადი ღვთისმსახურების დღე. ასევე საინტერესოა, რომელი ეპოქაა აღწერილი მოცემულ ნაწყვეტში. თუ კომუნისტური მმართველობის პერიოდი, მაშინ ამგვარი ორგანიზებული რელიგიური აქტივობის დამაჯერებლობა კიდევ უფრო ნაკლებია.

წერისა და მეტყველების კულტურა. "ნებისმიერი საჯარო გამოსვლის დროს მეტად მნიშვნელოვანია ორატორის გარეგნობა. განწყობა, მეტყველების და ქცევის მანერა. გირჩევთ ჩაიცვით ფაქიზად, სადად, თქვენი ჩაცმულობა არ უნდა იყოს გამომწვევი, გამაღიზიანებელი, თორემ გაგიჭირდებათ მსმენელთა კეთილგანწყობის მოპოვება. [...] გახსოვდეთ ნებისმიერი პოზა არ გამოგადგებათ (მაგალითად არ შეიძლება ხელების ჯიბეებში ჩაწყობა ან გადაჯვარედინება) [...] მიუღებელია ორივე ხელით ჟესტიკულაცია".

გვ. 362-363 ქართული ენა და ლიტერატურა. მე-10 კლასი. გამომცემლობა „მერიდიანი“

რეკომენდაციები

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

- სახელმძღვანელოებში აისახოს რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნებისა და ტოლერანტული კულტურის ისტორიული, ლიტერატურული და სამოქალაქო ფორმები და გამოვლინებები;
- სახელმძღვანელოების გრიფირების წესში შევიდეს ახალი მოთხოვნა, რომ სახელმძღვანელოს შინაარსი ითვალისწინებდეს ტოლერანტობის პრინციპებს, სრულფასოვნად ასახავდეს მრავალფეროვნებას და ეთნიკურად და რელიგიურად ნეიტრალური, სამეცნიერო ენით აღწერდეს მოვლენებს;
- გრიფირების პროცესში, საექსპერტო ჯგუფის მუშაობაში ჩაებან სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა და ეთნიკური საბჭოს წარმომადგენლები ან მათ მიერ შემოთავაზებული ექსპერტები;
- ახალი საგნობრივი გეგმები დამტკიცდეს სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური და რელიგიათა საბჭოს წარმომადგენელთა ან მათ მიერ შემოთავაზებულ ექსპერტთა დადებითი შეფასების შემდეგ;
- გამომცემლობებმა და ავტორებმა სახელმძღვანელოების მომზადების პროცესში ითანამშრომლონ სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიურ და ეთნიკურ საბჭოებთან.